საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში ცენტრი) ახორციელებს წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ კვლევასა და დაცვა-აღრიცხვას.

2. ცენტრი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდეგში – სამინისტრო).

3. ცენტრი არის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიული პირებად დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის № 58 დადგენილების შესაბამისად შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის საფუძველზე.

4. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, შტამპი და ბეჭედი, ბლანკი.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. **ცენტრის მიზანია:**

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კონკურენტუნარიანი სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას;

ბ) ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღრიცხვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის ოპტიმალური პირობები;

გ) მხარი დაუჭიროს ქვეყნის კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის მნიშვნელობის პროპაგანდას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე.

2. ცენტრის ფუნქციების და საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელების მიზნით:

ა.ა სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ა.ბ ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის დარგებისა და საისტორიო დოკუმენტების, საარქივო მასალის შესწავლა; შესაბამისი კრიტიკული კვლევების გამოცემა.

ა.გ ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამეცნიერო პროდუქციის რეალიზაციისა და სამეცნიერო მომსახურების ბაზის უზრუნველსაყოფად;

ა.დ საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

ა.ე ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივი კონ-ფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მოწყობა-ორგანიზაცია;

გ) მეცნიერების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სპეციალური სამკითხველო დარბაზების ფუნქციონირებისა და მასალაზე მუშაობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) ცენტრში დაცული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების, ისტორიული დო-კუმენტების, საარქივო წერილობითი და ფოტო მასალის, მემორიალური ნივთების, კარტოგრაფიული და ხელოვნების ნიმუშების დაცვა, აღრიცხვა, დიგიტალიზაცია; სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება;

ე) *დ* პუნქტში ჩამოთვლილი კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ექსპერტიზა და კლასიფიკაცია; სააღრიცხვო დოკუმენტების შედგენა, სტანდარტიზაცია და რეგისტრაცია; სიძველეთა დაცვა-აღრიცხვის კონტროლი; ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით.

ვ) სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური სრულყოფისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის მიზნით განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასწრაფო-გადაუდებელი, გეგმიური, მცირე და დიდი მოცულობის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელება; სიძველეთა დაცვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა;

თ) ცენტრის ფონდების შევსების მიზნით ამ პუნქტის "დ" ქვეპუნქტში ჩამოთვლილი კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიება, შეკრება, შეძენა და/ან შეწირულობის სახით მიღება;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და მაკონტროლებელ ორგანოსთან შეთანხმებით სტაციონალური ექსპოზიციებისა და მოძრავი გამოფენების მოწყობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

კ) გამოფენების, კოლექციებისა და სამეცნიერო რესურსებზე დაყრდნობით საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობისა და თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების გათვალისწინებით სხვადასხვა სახის აღწერილობების, კატალოგების, ტექსტების, მონოგრაფიების, ლექსიკონების, საენციკლოპედიო და საცნობარო ხასიათის ლიტერატურის, ბუკლეტების, ღია ბარათების, პლაკატების, სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის სხვა ლიტერატურის გამოცემა.

მ) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სტაჟირების გავლის შემთხვევაში შესაბამისი სერტიფიკატების გაცემა, რომლის წესიც განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით.

ნ) შემოქმედებითი ინიციატივის მქონე მოყვარულთა გაერთიანებებისა და ინტერესთა კლუბების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის მხარდაჭერა.

ო) საომარი მოქმედებისა და საგანგებო მდგომარეობის დროს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ცენტრის საცავებში თავმოყრილი კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფა;

3. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებითა და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო პროდუქციის შექმნის მიზნით ცენტრი განსაზღვრავს სამეცნიერო პრიორიტეტებს,

უზრუნველყოფს სამეცნიერო პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შინაარსის თავისუფლებას და უქმნის მას საქმიანობისათვის საჭირო პირობებს.

4. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს (სამეწარმეო და არასამეწარმეო) იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობაც არ ეწინააღმდეგება ცენტრის ძირითად მიზნებისა და ფუნქციებს და რომელთა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მოხმარდება ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას.

მუხლი 3. ცენტრის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

1. ცენტრის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას წარმართავს ცენტრის დირექტორი, სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო საბჭო;

2. ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია: დეპარტამენტები და ლაბორატორიები.

მუხლი 4. ცენტრის სამეცნიერო საბჭო

1. ცენტრის მეცნიერთა საერთო კრება ცენტრის მეცნიერთაგან ხუთი წლის ვადით ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს.

2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ დებულებას;

გ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს ცენტრის დირექტორს, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

დ) განიხილავს და დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო პროგრამების პროექტებს; სამეცნიერო კვლევაში ჩაურევლად განიხილავს და განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ე) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენილი საკითხის განხილვისას, სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელის ან საბჭოში სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში, საბჭო ვალდებულია საკითხის გადაწყვეტამდე გამართოს კონსულტაცია მთელ სტრუქტურულ ერთეულთან.

ვ) ღია კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ირჩევს ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანალებს, რომლებსაც ამტკიცებს დირექტორი;

ზ) ითანხმებს ცენტრის დირექტორის მიერ შემუშავებული წესდების, წესდების ცვლილებებისა ან/და დამატების პროექტს;

თ) ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ცენტრის საშტატო განრიგს;

ი) ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

კ) ცენტრის დირექტორისგან ისმენს და განიხილავს ცენტრის განვლილი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს;

ლ) ისმენს, განიხილავს და აფასებს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების, ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის შედეგებს/ანგარიშებს, პრობლემატურ სამეცნიერო საკითხებს, თანამშრომლების სამეცნიერო მოხსენებებს; შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეცნიერო მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

მ) ისმენს სარესტავრაციო საბჭოს ანგარიშს.

ნ) ისმენს დირექტორის მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფების დასკვნებს;

ო) ამზადებს საქართველოს მეცნიერთა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად წარსადგენ ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

პ) განიხილავს სხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს;

ჟ) იღებს გადაწყვეტილებას გამოცემებისათვის ცენტრის გრიფის მინიჭების შესახებ;

რ) იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრში მომზადებული სამეცნიერო ნაშრომებისა და სამეცნიერო ჟურნალების/კრებულების გამოცემის თაობაზე; ისმენს ცენტრის მიერ გამოცემული ყველა სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის მუშაობის ანგარიშს;

ს) ამ წესდებით დადგენილი წესით ქმნის კონკურსის სამდივნოს დირექტორისა და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კონკურსის ორგანიზაციის მიზნით;

ტ) დირექტორისა და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – გადაწყვეტილებას.

უ) უფლებამოსილია კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ წესდებით განსაზღვრული წესით, შეუწყვიტოს უფლებამოსილება ცენტრის დირექტორს.

მუხლი 5. ცენტრის სამეცნიერო საბჭოსა და მისი წევრების უფლებამოსილება

1. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება წარმოიშობა ამ წესდებით დადგენილი წესით სამეცნიერო საბჭოს არანაკლებ წევრთა ორი მესამედის არჩევის შემდეგ, პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართება საბჭოს არჩევიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში;

2. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც;

3. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სამეცნიერო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

4. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე. სამეცნიერო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის ფარული კენჭისყრით მიღების თაობაზე.

5. სამეცნიერო საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ყოველ სამ თვეში ერთხელ, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას საკუთარი ინიციატივით, სამეცნიერო საბჭოს წევრთა მესამედის ან/და ცენტრის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

6. სამეცნიერო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეცნიერო საბჭოს მდივანს.

7. სამეცნიერო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სამეცნიერო საბჭოს გადაწვეტილება, თუ სამეცნიერო საბჭოს წევრი სისტემატურად არ ესწრება სამეციერო საბჭოს სხდომებს;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) ცენტრის სამეცნიერო თანამდებობიდან გათავისუფლება.

მუხლი 6. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

1. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს და წარმართავს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო საბჭოს მუშაობას;

გ) ხმის უფლებით მონაწილეობს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებაში;

დ) მეთვალყურეობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს განკარგულებას;

ვ) ქმნის სამდივნოს დირექტორისა და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პროცესის ორგანიზაციის მიზნით.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, მიღებული სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) ცენტრის სამეცნიერო თანამდებობიდან გათავისუფლება.

მუხლი 7. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს არჩევა

1. სამეცნიერო საბჭო აირჩევა ცენტრის მეცნიერთა საერთო კრების მიერ, ცენტრის მეცნიერთაგან, ფარული კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით. კრებას უნდა ესწრებოდეს მეცნიერთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი მაინც.

2. ცენტრის მეცნიერთა საერთო კრება შედგება ცენტრში მომუშავე სამეცნიერო პერსონალისაგან. ცენტრის საერთო კრება მოიწვევა დირექტორის მიერ სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

3. სამეცნიერო საბჭოს წევრის კანდიდატის სტატუსი შეუთავსებელია საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან და დირექტორის/დირექტორის მოადგილის თანამდებობასთან.

4. არჩევნებში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირს.

5. სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციისა და არჩევნების ვადებს ნიშნავს ცენტრის დირექტორი.

6. სამეცნიერო საბჭოს არჩევნებში ყოველ ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება. თითოეული მეცნიერი ხმას აძლევს პირადად.

7. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების რაოდენობის მიხედვით: სამეცნიერო საბჭოში აირჩევა თითო წევრი ყოველი სტრუქტურული ერთეულიდან (თუ სტრუქტურულ ერთეულში მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა ათს არ აღემატება) ან ორი წევრი ყოველი სტრუქტურული ერთეულიდან (თუ სტრუქტურულ ერთეულში მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა ათს აღემატება).

8. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც დააგროვებენ არჩევნებში მონაწილე მეცნიერთა ხმების ნახევარზე მეტს. მეცნიერი ხმას აძლევს კენჭისყრაზე დაყენებულ კანდიდატთაგან იმდენს, რამდენი წევრიც უნდა აირჩეს სამეცნიერო საბჭოს კონკრეტულ არჩევნებზე.

9. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს წევრების ორი ან მეტი კანდიდატი (ერთი და იგივე სტრუქტურული ერთეულიდან) დააგროვებს ხმათა თანაბარ რაოდენობას, დირექტორის მიერ ინიშნება არჩევნების შემდგომი ტური იმ კანდიდატთა შორის, რომელთაც თანაბარი რაოდენობის ხმები დააგროვეს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტრუქტურული ერთეულიდან სამეცნიერო საბჭოში აირჩევა ორი მეცნიერი და ორივე თანაბარი რაოდენობის ხმებს დააგროვებს). შემდგომი ტურის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. შემდგომ ტურში გამარჯვებულად ითვლება უმეტესი ხმების მქონე კანდიდატი.

10. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების დროს ვერ იქნა არჩეული სამეცნიერო საბჭო სრული შემადგენლობით, დარჩენილ ადგილზე დირექტორის მიერ ინიშნება ხელახალი არჩევნები.

11. თუ რომელიმე სტრუქტურული ერთეულიდან ზედიზედ ორჯერ ვერ აირჩა კანდიდატი, რომელიც მოაგროვებდა არჩევნებში მონაწილე მეცნიერთა ხმების ნახევარზე მეტს, სამეცნიერო საბჭო დაიწყებს მუშაობას აღნიშნული სტრუქტურული ერთეულიდან არჩეული მეცნიერის გარეშე, ღიად დარჩენილ ადგილზე კი გამოცხადდება დამატებითი კონკურსი.

12. სამეცნიერო საბჭოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, დირექტორი ნიშნავს სამეცნიერო საბჭოს წევრის დამატებით (რიგგარეშე) არჩევნებს. სამეცნიერო საბჭოს წევრი აირჩევა მხოლოდ უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

მუხლი 8. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს საარჩევნო კომისია

1. ცენტრში სამეცნიერო საბჭოს არჩევის პროცესის ორგანიზების მიზნით ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით იქმნება სამეცნიერო საბჭოს საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება დაწესებულების თანამშრომლებისაგან.

2. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატი ან მისი ნათესავი;

ბ) ცენტრის დირექტორი ან მისი ნათესავი;

გ) დირექტორის მოადგილე ან მისი ნათესავი.

3. „ნათესავში“ იგულისხმება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები.

4. საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ცენტრის დირექტორი.

5. საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და საარჩევნო კომისიის წევრების რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა რიცხვი ნაკლებია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ რაოდენობაზე, კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს საზოგადოების წარმომადგენელი.

7. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის რეგისტრირებულ კანდიდატთა რიცხვი აღემატება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ რაოდენობას, საარჩევნო კომისიის წევრების გამოსავლენად დირექტორის მიერ საჯაროდ ტარდება წილისყრა.

8. კომისია პირველ სხდომაზე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 9. ცენტრის დირექტორის კომპეტენცია

1. ცენტრს წარმოადგენს მისი დირექტორი.

2. დირექტორი:

ა) წარმართავს ცენტრის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს ცენტრის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტს, ათანხმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (შემდეგში – სამინისტრო) და დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს;

გ) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად აცხადებს ღია კონკურსებს და ქმნის საკონკურსო კომისიებს სამეცნიერო თანამდებობებზე თანამშრომლების შერჩევის მიზნით. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესებს, ვადებს და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

დ) ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისაგან ითანხმებს სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს;

ე) სამეცნიერო საბჭოსგან ითანხმებს სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო პროგრამების პროექტებს;

ვ) საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს; უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას; უფლებამოსილია კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აიყვანოს ცენტრის საშტატო განრიგით გაუთვალისწინებელი თანამშრომლები;

ზ) მეცნიერთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

თ) ამტკიცებს სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეულ პირს ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე;

ი) საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის ან საკუთარი წინადადებით, სათათბირო ხმის უფლებით ესწრება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

კ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში განსახილველად წარადგენს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ მომზადებულ წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

ლ) ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სხვა ტიპის დაწესებულებებთან;

მ) ცენტრის სახელით დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის ხელშეკრულებებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში თანამშრომლობასთან დაკავშირებით;

ნ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ცენტრის ფინანსურ სახსრებს და მასვე ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ო) განიხილავს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ შემუშავებულ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ბიუჯეტის პროექტებს და ამტკიცებს ცენტრის საერთო ბიუჯეტს;

პ) ცენტრში მიმდინარე სამუშაოების შესწავლისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ქმნის მონიტორინგის ჯგუფებს, რომლებიც დასკვნებს წარუდგენენ დირექტორსა და სამეცნიერო საბჭოს;

ჟ) სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრისა და სხვა საკითხების განხილვის მიზნით მეცნიერთაგან ქმნის სათათბირო ორგანოს – საკონსულტაციო საბჭოს, რომლის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს გადასცემს სამეცნიერო საბჭოს.

რ) სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ეფექტურად დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით სპეციალისტებისაგან ქმნის სათათბირო ორგანოს – სარესტავრაციო საბჭოს და ისმენს მის ანგარიშს;

ს) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს განვლილი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს;

ტ) კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს, ცენტრის სამეცნიერო საბჭოსთან ათანხმებს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის წესდების ან წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტებს;

უ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს;

ფ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომელთა მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ღ) უფლებამოსილია არა უმეტეს საკუთარი უფლებამოსილების ვადით დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოადგილე/მოადგილეები;

ყ) ასრულებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

3. დირექტორი ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას და წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში.

4. დირექტორი პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე.

5. დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, მიღებული სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუ დირექტორი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა.

6. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული ცენტრის თანამშრომელი (დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – სხვა თანამშრომელი).

7. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას ადგენს სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 10. დირექტორის არჩევის წესი:

1. დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

2. დირექტორი აირჩევა 4 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

3. ცენტრის დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კონკურსის წესით თანამდებობაზე ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. დირექტორის არჩევნების თარიღს განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭო.

5. დირექტორის კონკურსისა და არჩევნების ორგანიზაციის მიზნით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ქმნის სამდივნოს და ადგენს კანდიდატების რეგისტრაციის ვადებს.

6. სამეცნიერო საბჭოს მიერ შექმნილი სამდივნო განიხილავს კანდიდატთა განცხადებებს და წარმოდგენილ საბუთებს. კონკურსის სამდივნო შედგება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრების, ცენტრის სხვა მეცნიერების ან/და დამხმარე პერსონალისაგან, რომლებიც სამდივნოს ფუნქციების განხორციელებისას

ექვემდებარებიან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს. კონკურსის სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

7. სამდივნო დირექტორების კანდიდატურებს წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს, რომელიც კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე ირჩევს დირექტორს წესდებით დადგენილი წესით.

8. დირექტორის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს სამეცნიერო საბჭოს წევრთა ხმების ნახევარზე მეტს.

9. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საკმარისი ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი კონკურსი, რომელიც უნდა ჩატარდეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი 11. ცენტრის სტრუქტურული ერთეული და მისი ხელმძღვანელი

1. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულთა რაოდენობა განისაზღვრება საშტატო განრიგით.

2. ცენტრის სტრუქტურული ერთეული:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტებს;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტს;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებს.

3. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულს მართავს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს;

ბ) ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ შემუშავებულ სამეცნიერო პროგრამების პროექტებს;

გ) ცენტრის დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტს;

დ) ცენტრის დირექტორს უთანხმებს სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტს;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამდებობებიდან პირის გათავისუფლების ან დაწინაურების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;

ვ) ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

მუხლი 12. ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების წესი

1. ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეიძლება ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. ცენტრის სამეცნიერო საბჭო ღია კონკურსის წესით ირჩევს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს 3 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის კონკურსის ჩატარების წესსა და დამატებით პირობებს განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.

მუხლი 13. ცენტრის პერსონალი

1. ცენტრის პერსონალი შედგება სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

2. ცენტრის სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობაში შედიან სამეცნიერო თანამდებობის პირები – მეცნიერები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სამეცნიერო საქმიანობას.

3. ცენტრის სამეცნიერო თანამდებობებს მიეკუთვნება:

ა) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა;

გ) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.

4. ცენტრის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნიან:

ა) დირექტორი;

ბ) დირექტორის მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც თანამდებობაზე ინდივიდუალური აქტით ნიშნავს დირექტორი.

5. ადმინისტრაციულ პერსონალს არ შეიძლება ამავე ცენტრში ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6. ცენტრის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩამონათვალი განისაზღვრება საშტატო განრიგით.

მუხლი 14. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

5. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესსა და დამატებით პირობებს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებ-თან შეთანხმებით განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.

მუხლი 15. მეცნიერთა უფლებები და მოვალეობები

1. მეცნიერს უფლება აქვს:

ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) თანამდებობრივი სარგოს მიღების გარდა დამატებით მიიღოს მონაწილეობა საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში; აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის (გრანტების) დაფინანსებით იმ შემთხვევაშიც, თუ შეიცვლის სამუშაო ადგილს;

დ) ისარგებლოს ცენტრის კოლექციით, ბიბლიოთეკით და ცენტრის სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. მეცნიერო ვალდებულია:

ა) დაიცვას ცენტრის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) გაუფრთხილდეს ცენტრის ქონებას;

დ) სამეცნიერო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მუხლი 16. სახელმწიფო კონტროლის ფორმა და ფარგლები

1. ცენტრის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), რომელიც აკონტროლებს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს ცენტრს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

2. ცენტრი ვალდებულია სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება.

მუხლი 17. ცენტრის ქონება და ფინანსები

ცენტრის ქონება:

1. ცენტრს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება, რომელიც ცენტრის სხვა ქონებასთან ერთად შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად დადგენილი წესის თანახმად.

2. ცენტრის დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს დაწესებულების ფინანსებსა და ქონებას, კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ინსტიტუტის ფინანსურ სახსრებს და მასვე ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ინსტიტუტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

3. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით ცენტრს შეუძლია განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ამ მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

ცენტრის დაფინანსება:

1. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სამეცნიერო გრანტებით მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საგმომცემლო საქმიანობის შედეგად მოპოვებული სახსრები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ცენტრის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.

3. ცენტრში შემოსული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 17. ცენტრის ბალანსის შედგენა და შემოწმება

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს. ცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 18. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე.

3. ცენტრის ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს ცენტრის დირექტორი. ლიკვიდატორის საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით.

4. ლიკვიდატორი:

ა) დანიშვნისთანავე ადგენს ბალანსს;

ბ) ცენტრის ცნობილ კრედიტორებს სპეციალური შეტყობინებით აცნობს ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ. თუ კრედიტორების მისამართი უცნობია, შეტყობინება ლიკვიდაციის თაობაზე ხდება საჯარო განცხადებით;

გ) ამთავრებს მიმდინარე საქმეებს, ასრულებს ცენტრის ვალდებულებებს;

დ) უფლებამოსილია დაამთავროს სასამართლო პროცესი, ან მორიგებით დაასრულოს დავები;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

5. ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

ცენტრის წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. გარდამავალი დებულებები

1. ცენტრის პირველი სამეცნიერო საბჭოს შექმნამდე მის უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

2. ცენტრის პირველი სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარება ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა უზრუნველყოს ამ წესდების დამტკიცებიდან ორი თვის ვადაში.

3. ცენტრის პირველი სამეცნიერო საბჭო დირექტორის არჩევნებს ნიშნავს მისი უფლებამოსილების ცნობიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

4. სამეცნიერო საბჭომ დირექტორის არჩევა უნდა უზრუნველყოს დირექტორის არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.